707 N 10305

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

შაბათი, 2 დეკემბერი, 1989 წელი ● № 48 (2874) ● СУББОТА, 2 ДЕКАБРЯ 1989 г.

## დღევანდელობით ნაკარნახევი სიახლე

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის 2 აპრილის დადგენილებაში „ქვეყანაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“, აგრეთვე XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის რეზოლუციებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებმა უნდა ისწავლონ გარდაქმნისა და საჯაროობის პირობებში მუშაობა, უნდა დაეუფლონ სამართალდამცავი საქმიანობის თანამედროვე ფორმებსა და მეთოდებს. ეს მოთხოვნები ახალ, გაზრდილ ამოცანებს უყენებს ადმინისტრაციული ორგანოებისათვის ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების აღმზრდელ დაწესებულებებს, მათ შორის შინაგან საქმეთა ორგანოების სასწავლო დაწესებულებებსაც.

დღეს საყოველთაოდ არის ცნობილი თუ რაოდენ დიდ ყურადღებას უთმობს ჩვენი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა მილიციის ორგანოების მუშაკთა შერჩევას, მათ პროფესიულ-მოქალაქეობრივ, პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდას.

ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ მიმდინარე წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრში პირველად შემოღებული იქნა ახალი სასწავლო დისციპლინა — „მილიციის პირადი შემადგენლობის პროფესიულ-ფსიქოლოგიური მომზადება“. არსებითად ეს არის გამოყენებითი ფსიქოლოგიის, კერძოდ იურიდიული ფსიქოლოგიის კიდევ ერთი ახალი დარგი — საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფსიქოლოგია. მისი შემოღება ნაკარნახევია მილიციის საქმიანობაში დემოკრატიული საწყისების ზრდით და პირდაპირ ეხმიანება კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობებისა და დემონსტრაციების მზარდ პროცესებს.

ასეთი სასწავლო დისციპლინის შემოღების დროულობა და საჭიროება ცხადად დაგვანახა იმ დრამატულმა მოვლენებმა რასაც ამ ბოლო დროს ადგილი ჰქონდა, როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც. ამიტომ გასაგებია ის დიდი ინტერესი და ენთუზიაზმი რასაც სასწავლო ცენტრის მსმენელები პირველი დღეებიდანვე იჩენენ ამ ახალი სასწავლო დისციპლინის შესწავლის საქმეში.

სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელობა, პოლიტნაწილი, პარტიული ორგანიზაცია ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ამ საგნის სწავლება თავიდანვე მკვიდრ ნიადაგზე დადგეს. ეჭვი არ არის, რომ ამ დისციპლინის საფუძვლიანად ათვისება კიდევ უფრო აამაღლებს რესპუბლიკის მილიციის მუშაკთა პროფესიული დაოსტატების დონეს და ახალ საფეხურზე აიყვანს კანონიერებისათვის ბრძოლის კულტურას.

**ზ. ალავიძე,**
მილიციის პოდპოლკოვნიკი.

**რედაქციისაგან:** ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილი დაძაბული მდგომარეობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებისაგან მოითხოვს მაღალ პროფესიულ-ფსიქოლოგიურ მომზადებას. ნამდვილად დღევანდელობით არის ნაკარნახევი შინაგან საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრში ახალი სასწავლო დისციპლინის შემოღება, ვფიქრობთ აღნიშნულ პუბლიკაციას ადგილებზე ყურადღებით გაეცნობიან შს ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები და ყოველ ღონეს იხმარენ, რათა კიდევ უფრო დაწვეწონ სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის კულტურა.

## კონსტრუქციული დიალოგი უნდა გაგრძელდეს

**როგორც** საყოველთაოდ ცნობილია 23 ნოემბერს, ქართველების ინიციატივით, ქალაქ ცხინვალში სანქცირებული მეგობრობის მიტინგი ვერ ჩატარდა, რამაც შექმნილი დაძაბული ვითარება კიდევ უფრო გაართულა. ხალხს მიმართეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. გუმბარიძემ და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, შ/ს გენერალ-ლეიტენანტმა შ. გორგოძემ. გაიმართა მოლაპარაკება და დიალოგი, რამაც ნაყოფი გამოიღო. ორივე მხარემ მოიკრიბა ნებისყოფა, გასჭრა გონიერებამ. სამიტინგოდ ჩამოსულებმა აქვე გამართეს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის სხდომა, სადაც განჭვრიტეს შექმნილი სიტუაციის მოსალოდნელი მძიმე შედეგი და მოუწოდეს ხალხს დაეცხროთ ემოციები, გამოეხინათ გულისხმიერება და დაშლილიყვნენ. დათქვეს, რომ მომავალში მეგობრული მიტინგის ჩატარების დროს წინასწარ შეატყობინებდნენ ცხინვალელებს და დიალოგის ვითარებაში გადაჭრიან იმ პრობლემებს, რომელიც ორივე მხარეს აწუხებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 23 ნოემბრიდან ოლქში კვლავ გრძელდებოდა კონფლიქტური სიტუაცია ქართველ და ოს მოსახლეობას შორის. ადგილი ჰქონდა სხეულის დაზიანების, ხულიგნობის, იარაღის უკანონო ტარებისა და შენახვის შემთხვევებს. შინაგან საქმეთა ორგანოები აკონტროლებენ არსებულ ვითარებას, აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები, მიმდინარეობს გამოძიება. ამჟამად საზოგადოებრივ წესრიგს ოლქის ტერიტორიაზე ამყარებენ მხოლოდ მილიციის ძალები. შექმნილია ოპერატიული შტაბი, რომელსაც ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის შს სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად. ტარდება ყველა შესაძლო ღონისძიება, რათა დროულად დამყარდეს წესრიგი, გაშლილია სათანადო ახსნა-განმარტებითი და პროფილაქტიკური მუშაობა.

(დასასრული მე-2 გვ.-ზე).



სურათზე: ცხინვალის შესასვლელთან.

## ПОВЫСИТЬ ЭФФЕКТИВНОСТЬ НАРОДНОГО КОНТРОЛЯ

**Важную роль в борьбе с нарушениями дисциплины, бесхозяйственностью, другими негативными явлениями играют народные контролеры. Идущий сейчас процесс перестройки стиля и методов работы органов внутренних дел предъявляет повышенные требования к их деятельности, диктует необходимость ее качественного совершенствования в соответствии с требованиями дня. Повышению эффективности данной работы призваны способствовать и начавшиеся в ноябре в соответствии с постановлением ЦК КПСС и Комитета народного контроля СССР отчеты и выборы комитетов, групп и постов народного контроля, которые продлятся до конца года.**

**ИЗУЧЕНИЕ** положения дел на местах показывает, что в работе групп и постов народного контроля в органах внутренних дел имеют место существенные недостатки и неиспользованные резервы. Отдельные руководители, политработники, партийные комитеты и бюро недостаточно вникают в деятельность народных контролеров, мало оказывают им практической помощи и поддержки, не всегда своевременно рассматривают предложения и рекомендации. Мало внимания уделяется информированию коллективов о результатах проверок и принятых по ним мерах.

Отчеты и выборы должны способствовать обновлению деятельности комитетов и групп народного контроля, которым предстоит изменить свой статус, вобрав в себя контрольные функции партийных, профсоюзных, комсомольских и других контрольных образований.

Исходя из требований ЦК КПСС политорганам и партийным организациям необходимо обеспечить проведение этой важной кампании на высоком организационном уровне, на подлинно демократической основе, в обстановке широкой гласности, принципиального анализа проводимой работы, определения конкретных мер по повышению эффективности народных контролеров в решении задач перестройки.

Необходимо, чтобы на собраниях были выработаны конкретные меры по усилению борьбы с потерями и бесхозяйственностью, особенно в исправительно - трудовых учреждениях, других производственных подразделениях, нарушениями дисциплины и проявлениями всякого рода бюрократизма. Надо установить строгий контроль за использованием техники, дополнительных ресурсов, поступающих в органы и подразделения внутренних дел централизованно и в порядке оказания помощи от местных советов, предприятий, организаций, а также правильностью расходования средств при взаиморасчетах с кооперативами. Усилия контролеров следует направить на разрешение неотложных вопросов, волнующих работников, особенно таких как строительство жилья и других объектов соцкультбыта, улучшение медицинского и бытового обслуживания.

В ходе отчетов очень важно критически осмыслить стиль, формы и методы работы коллективов, групп и постов, имея в виду, что они должны действовать более настойчиво и системно, добиваться устранения недостатков. При выработке решений должны быть учтены и реализованы высказанные работниками предложения и критические замечания.

Отчетно - выборная кампания должны содействовать дальнейшему укреплению комитетов, групп и постов народного контроля за счет избрания в них наиболее компетентных, активных и принципиальных работников, способных с учетом требований перестройки по-новому повести дело контроля, повышения ответственности и инициативы коммунистов. Особое внимание следует обратить на то, чтобы повсеместно председатели комитетов и групп, руководители постов избирались, как правило, на альтернативной основе. Ход отчетов и выборов народных контролеров, вопросы совершенствования их деятельности следует широко освещать в многотиражных и стенных газетах.

Политработникам необходимо принять участие в отчетно - выборных собраниях, привлечь к этому руководителей органов и служб. Подводя итоги отчетов и выборов в группах и постах народного контроля, следует обобщить критические замечания и предложения, принять безотлагательные меры по их реализации, обеспечить обучение народных контролеров формам и методам контрольной деятельности.

**Л. ГОРГОДЗЕ,**
полковник милиции, заместитель начальника политического отдела МВД Грузинской ССР.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონსტრუქციული დიალოგი უნდა გაგრძელდეს

(დასასრული).

**26 და 27 ნოემბერს ცხინვალსა და მიმდებარე რაიონებში კვლავ წარმოიშვა დაძაბულობის ცალკეული კერები.**

ამავე რიცხვებში აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლის რეგიონებში, იმყოფებოდა ამხ. გ. გუმბარიძე. იგი შეხვდა შს ადგილობრივი ორგანოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ძალების პირად შემადგენლობას, პარტიულ და საბჭოთა აქტივს, საზოგადოების წარმომადგენლებს. შეხვედრის დროს იმსჯელეს პრინციპულ და დემოკრატიულ საფუძველზე ვითარების ნორმალიზაციის გზების შესახებ. აღინიშნა, რომ რადგან ადგილი აქვს ჭორების გავრცელებას, რაც პროვოკაციულად უბიძგებს მოსახლეობას სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებისაკენ, უნდა გაუმჯობესდეს მოსახლეობის ინფორმირებულობა.

ამ დღეებში ცხინვალიდან გაყვანილი იქნა სსრკ შს სამინისტროს ჯარების ნაწილი. ადგილზე წესრიგს ამყარებენ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული მილიციის მუშაკები. სამწუხაროდ მოსახლეობაში გავრცელდა ხმა, ვითომცდა ცხინვალში მიდის ძმათაშორისი მკვლელობები, სწორედ ამის გულისათვის როგორც ქართველი, ასევე ოსი მაცხოვრებლები მოითხოვდნენ მათთვის იარაღის გაცემას, იმ სანადირო თოფებისა, რომლებიც ჩამორთმეული ჰქონდათ. ქალაქში არ მუშაობენ საწარმოო დაწესებულებები, ტრანსპორტი, საზკვების ობიექტები, სკოლები. 23 ნოემბერს სხეულის დაზიანება მიიღო რამდენიმე ოსმა და ქართველმა, აქედან მილიციის წარმომადგენელმაც.

დღის საათებში, როდესაც წესრიგის დასაცავად ცხინვალში თბილისიდან ჩასული საპატრულო-საგუშაგო სამსახურის დანაყოფის უფროსის მოადგილე, მილიციის მაიორი ლ. რაზმაძე და ორი მისი თანამშრომელი ავტომატებით შეიარაღებულნი მანქანით გავიდნენ თავიანთი დისლოცირების ადგილიდან ცხინვალის საგუშაგოსაკენ, ისინი გააჩერეს ოსი მოქალაქეების და ცხინვალის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მუშაკებმა და განაიარაღეს ისინი. ამ გაუგებრობის მოსაგვარებლად ადგილზე გაემგზავრნენ საპატრულო-საგუშაგო სამსახურის თანამშრომლები ამ შემთხვევის გარემოებათა გამოსარკვევად და ჩვენების მისაცემად დაკავებულია მილიციის რამოდენიმე მუშაკი (როდესაც ლ. რაზმაძე გაანთავისუფლეს ჩამორთმეული იარაღი დაბრუნებული არ იყო).

27 ნოემბრისათვის მოსახლეობისაგან ამოღებული იქნა 2 შაშხანა, 3 სანადირო თოფი და 9 თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა. მოვლენათა დაწყებიდან 30 ნოემბრამდე სამედიცინო დაწესებულებებს მიმართა 34 კაცმა, მათ შორის 4 მილიციის თანამშრომელია.

ოსეთში შექმნილმა მდგომარეობამ დაძაბა ვითარება, თბილისში და რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები.

24 ნოემბერს ჯერ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შენობის წინ, ხოლო შემდეგ რესპუბლიკის მთავრობის სახლთან გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი. ცხინვალში ჩასულ ქართველთა მხარდასაჭერად მომიტინგეებმა დედაქალაქის ქუჩებში მოაწყვეს მასობრივი მსვლელობა. რამდენიმე დღის განმავლობაში ზედიზედ, რუსთაველის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობდა მიტინგები, რომელთა ყურადღების ცენტრში იყო ისტორიულ სამაჩაბლოში მიმდინარე პროცესები.



გასული ერთი კვირის მანძილზე, შექმნილი დაძაბული ვითარების განმუხტვის მიზნით, გატარებულ იქნა მრავალი ღონისძიება. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება იყო 27 ნოემბერს თბილისის კინოს სახლში თბილისში მცხოვრები ოსების ინიციატივით, (რომლებიც ორი დღით ადრე იყვნენ მისულნი ტელეკომიტეტში და ტელევიზიით მოუწოდეს ოს ხალხს სიმშვიდისა და კეთილდღეობისაკენ, შემდეგ შვიდი ავტობუსით გაემგზავრნენ ცხინვალისაკენ, გზად გორის რაიონში მცხოვრები ოსები შეუერთდათ). გამართული ბრიფინგის მოწყობის ინიციატორთა და მონაწილეთა უმრავლესობის ურთიერთკეთილგანწყობის მიუხედავად დარბაზში დროდადრო მაინც გაისმოდა რეპლიკები და ეჭვნარევი შეძახილები. ბრიფინგის დამთავრების შემდეგ თბილისელი ოსებისა და ქართველების მცირერიცხოვანი ჯგუფი ცხინვალისაკენ გაემგზავრა. მათი ერთადერთი მიზანი იყო, გაენეიტრალებინათ შექმნილი სიტუაცია და არ დაეშვათ [illegible] კონფრონტაცია. იმავე დღეს, საღამოს თბილისიდან ჩამოსულებმა თავდაპირველად საავადმყოფოში მოთავსებული, დაზარალებულები ინახულეს. ღამის 11 საათზე კი პარტიის საოლქო კომიტეტის სააქტო დარბაზში დაიწყო დიალოგი. აღინიშნა, რომ ქართველებისა და ოსების უმთავრესი მიზანი დღესდღეობით არის იმ საგანგაშო, ტრაგიკული სიტუაციის განმუხტვა, რაც 23 ნოემბრის ჩაშლილი მიტინგის შემდეგ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და სრულიად საქართველოში. დარბაზში მსხდომნი, უკლებლივ ყველა, უყოყმანოდ დაეთანხმნენ იმ აზრს, რომ ორ მოძმე ერს, საუკუნოვან მეგობარ ხალხს შორის ვიღაც შესამე, პროვოკაციისა და შორს გამიზნული ზრახვების გამო ურევს თავის ბინძურ ხელს. დიალოგის შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა, „ადამონ ნიხასის" ლიდერებმა და თბილისიდან ჩამოსულმა დელეგაციამ შეიმუშავეს ერთობლივი დეკლარაცია, რომელიც ითვალისწინებს ყველა საკონფლიქტო საკითხის მოგვარებას.

როგორც ცნობილია კვლავაც განზრახულია ქართველი და ოსი ეროვნების წარმომადგენლების ერთმანეთთან შეხვედრა მშვიდობიანი მოლაპარაკების მიზნით.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, მდგომარეობა კვლავ დაძაბულია. ასეთი გახლდათ ვითარება 1 დეკემბრამდე

ეჭვგარეშეა, სერიოზულ, კონსტრუქციულ დიალოგს, რომლის წინაპირობა უკვე შექმნილია, თავისი დადებითი შედეგებიც უნდა მოჰყვეს...

* * *

**სურათზე: მიტინგი თბილისში რუსთაველის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე.**

**(წერილში გამოყენებულია „საქინფორმის", რესპუბლიკის ზოგიერთ გაზეთში გამოქვეყნებული, საქართველოს შს სამინისტროს და „მებრძოლი გუშაგის" სპეციალური კორესპონდენტის გ. მგალობლიშვილის მიერ მოწოდებული მასალები).**

# თავს არ შეირცხვენენ

**ახლახან** დამთავრებულ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიას გულგრილი არავინ დაუტოვებია. შს ორგანოების თანამშრომელთა ყურადღებაც ამ დღეებში სესიისაკენ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მომხდარი მოვლენებისაკენ იყო მიპყრობილი.

— სესიას წინ უძღოდა სამხრეთ ოსეთში ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის მიერ მიღებული კონსტიტუციის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებანი, — გვეუბნება თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს პოლიტიკური განყოფილების უფროსი ვ. სანაძე, — რასაც რესპუბლიკაში მდგომარეობის უფრო მეტად დაძაბვა მოჰყვა. სამმართველოს დანაყოფებიდან ცხინვალისაკენ გავგზავნეთ ჩვენი თანამშრომლები. ამ დროს დიდ მნიშვნელობას იძენდა ის, თუ რა გადაწყვეტილებებს მიიღებდა სესია, როგორ შევძლებდით ჩვენ პირად შემადგენლობასთან ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარებას, რათა ისინი გარკვეული ყოფილიყვნენ შექმნილ სიტუაციაში. ვფიქრობ, რომ უნარი ხალხთან ურთიერთობისა, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში აუცილებელია თითოეული თანამშრომლისათვის. მიუხედავად თავისუფალი დროის სიმცირისა ქალაქის მილიციის მუშაკები პარტიული და პოლიტმუშაკების ხელმძღვანელობით სესიამდეც და მისი დამთავრების შემდეგაც აქტიურად არიან ჩაბმული კანონპროექტებისა და გადაწყვეტილებების განხილვაში. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ქალაქის მილიციის სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც თბილისში, ცხინვალის მისადგომებთან დიდ ნებისყოფას იჩენენ და კანონის ფარგლებში იცავენ საზოგადოებრივ წესრიგს, არც მომავალში შეირცხვენენ თავს.

ესაუბრა ზ. თათეიშვილი.

## მილიციის სადაგი დღეები





**...სულ ხალხში ტრიალებენ და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავის მოვალეობას მაიაკოვსკის შს რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი რევაზ კაცაძე, რომელიც პირველი და მეორე ობჩის ტერიტორიას ემსახურება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უფროსი ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი ავთანდილ გოქსაძე (მარცხენა ფოტოზე).**

**სამტრედიის ავტოინსპექციის მოტომექანიზებული დანაყოფის თეკლათის საგუშაგო განლაგებულია სოხუმი-ფოთის ტრასის გადასაკვეთთან. საგუშაგოს ემსახურებიან დანაყოფის მოწინავე თანამშრომლები, რომელთა შორის გამოირჩევიან მილიციის სერჟანტები სამსონ თოფურია და ზურაბ შენგელია. ისინი უკვე 18 წელია პირნათლად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.**

ბ. ბურამიშვილის ტექსტი და ფოტო.

## Укреплять служебную дисциплину

**БОЛЬШОЕ** внимание уделяется вопросам партийно-политической работы, профилактике нарушений дисциплины и соцзаконности среди личного состава в подразделениях системы Управления пожарной охраны МВД ГССР.

В нынешнем году совместно с политорганами в Управлении проведена целенаправленная организационная работа по претворению в жизнь решений XXVII съезда КПСС, XIX Всесоюзной партийной конференции, постановления Совета Министров СССР от 29 января 1988 г. и Совета Министров Грузинской ССР от 11 ноября 1988 года «О мерах по дальнейшему укреплению пожарной безопасности», оздоровлению морально-психологического климата в подразделениях. В результате чего за 9 месяцев 1989 года было допущено нарушений дисциплины на 32 процента меньше, чем за этот же период прошлого года.

Хорошо обстоят дела в подразделении пожарной охраны г. Поти, где за истекший период 1989 года не было зарегистрировано ни одного случая нарушения дисциплины.

Вместе с тем коренного улучшения состояния служебной дисциплины не наступило.

В течение 9 месяцев 1989 года в подразделениях ВПО республики отмечено 155 случаев привлечения сотрудников к дисциплинарной и уголовной ответственности, из которых 6 рассмотрены товарищескими судами. Наибольшее количество нарушений допущено в подразделениях ОПО УВД г. Тбилиси — 96, в том числе, такие как халатное отношение к службе — 29, невыход на работу — 22, нетактичное поведение — 6 и др.

Тревожит и тот факт, что среди нарушителей есть лица старшего и среднего начальствующего состава и члены КПСС. Так в марте 1989 года пожарный СВПЧ-2 (Первомайский район) ОПО УВД Тбилгорисполкома рядовой внутренней службы Д. Пилиев, находившийся в нетрезвом состоянии, в свободное от службы время на улице Зигзагской выхватил из рук гражданки сумку и пытался скрыться, однако был задержан и доставлен в Ленинский РОВД г. Тбилиси. Д. Пилиев уволен из органов внутренних дел и осужден на один год исправительных работ.

25 июня т. г. в г. Болниси возникли массовые беспорядки. В ходе расследования и выявления виновных в возникновении этих событий следственными органами было установлено, что начальник ОГПН Болнисского РОВД майор внутренней службы У. Алиев принял активное участие в массовых беспорядках, за что он уволен из органов внутренних дел, и в отношении него возбуждено уголовное дело.

Нарушения дисциплины в ряде случаев связаны с тем, что отдельные руководители органов и подразделений, партийные, комсомольские организации не предъявляют повышенного спроса к работникам на их безупречное поведение на службе и в быту, слабо используют возможности идейно - политического воздействия на создание в каждом подразделении атмосферы нетерпимости к любым нарушениям.

С учетом этих и других имеющихся недостатков должна вестись вся дальнейшая работа по укреплению дисциплины и соцзаконности Управления пожарной охраны. По итогам года планируются изучение положения на местах с изданием обзора «О состоянии служебной дисциплины и законности в аппаратах и подразделениях пожарной охраны МВД ГССР», с рекомендациями, направленными на улучшение этого вопроса.

**О. НАНИКАШВИЛИ, подполковник внутренней службы, начальник отдела службы и подготовки УПО МВД ГССР.**

# სიყვარულიდან სიძულვილამდე...

ᲛᲔᲢᲐᲓ უცნაურ დროში ვცხოვრობთ. რას არ გაიგებ ადამიანი (შვილმა მამა მოკლა, დედამ შვილი უპატრონოდ მიაგდო, მამამ შვილს ქონება წაართვა და ვინ მოსთვლის) გვიკვირს ყველა ის საქციელი თუ ქმედება, რომელიც თავისი ხასიათით ადამიანურობის ფარგლებში არ თავსდება. აბა, არ უნდა გიკვირდეს, ქმარმა ცოლი მოაკვლევინოს და ამის საფასურად 10 000 მანეთიც გადაიხადოს. თუმცა უმჯობესია მივყვეთ მოვლენების განვითარებას.

ტ. მუნჯიშვილმა და ქ. ქურდაძემ სიყვარულით შექმნეს ოჯახი. ხარობდა ახლადშეუღლებულთა ფუძე. ეს სიყვარული შვილის გაჩენამ უფრო გააძლიერა. პირველს მეორეც მოჰყვა და ასე გრძელდებოდა სიცოცხლე, მანამდე, სანამ მათ ოჯახურ სიამტკბილობას ბზარი არ გაუჩნდა. უპრობლემოდ დღეს არცერთი ოჯახი არ ცხოვრობს, მაგრამ ზოგს ჰყოფნის ნებისყოფა მათ გადასაჭრელად. ზოგს არა. მოკლედ 10 წლის ნალოლიავები ოჯახი დაიშალა. ტ. მუნჯიშვილი და ლ. ქურდაძე ერთმანეთს დასცილდნენ. თუმცა ქმარს ამის მიზეზი ჰქონდა, მისი მეუღლე ამორალურ ცხოვრებას ეწეოდა. რა თხოვნა, რა მუდარა, მაგრამ არაფერმა არ გაჭრა, ტყუილად რჩებოდა ნათქვამი „ღმერთის გულს ნუ გადამაჩვევ". ვერც შვილების სიყვარულმა იხსნა ოჯახი. ცოლყოფილი კი მაინც მისი ცხოვრებით ცხოვრობდა. ტ. მუნჯიშვილს მაინც უყვარდა ცოლი, შვილების დედა, როგორ სთხოვდა დაბრუნებოდა ოჯახს, დაეწყო ნორმალური ცხოვრება, მაგრამ ყველაფერმა უშედეგოდ ჩაიარა. თუმცა იგი მის „ამფსონებში" თავს მაინც ოჯახიან ქალად ასაღებდა. თავმოყვარეობაშელახულმა, გამწარებულმა ქმარმა ინატრა, ნეტავი ვინმე მოკლავდესო... რას იზამთ, ხშირად სიყვარულიდან სიძულვილამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია...

1988 წლის 31 მარტს მდ. მეჯუდას (გორის რაიონი) სანაპიროზე გზად მიმავალმა მგზავრმა შენიშნა ადამიანის გვამი. დაბნეული და შეშინებული მივარდა ის გორის შს რაიგანყოფილებაში. შეიქმნა ორი ოპერატიული ჯგუფი — ქ. გოგიჩაიშვილისა და გ. მაგნიძის მეთაურობით. ადგილზე მისულმა ოპერატიულმა ჯგუფმა დაადგინა, რომ გვამი, რომელსაც სხეულზე აღენიშნებოდა საგრძნობი დამწვრობის კვალი, ეკუთვნოდა მდედრობით სქესს. მეორე დღეს შს რაიგანყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. დაიწყო ძიება, დაიბადა უამრავი ვერსია. გადამოწმდა ყველა მათი გვარები, ვინც იმ დროისთვის დაკარგული იყო გორის რაიონში, შემდეგ რესპუბლიკაში. რამოდენიმე ამოცნობაც ჩატარდა მაგრამ... საქმე კვლავ გაუხსნელი რჩებოდა. ოპერატიული ჯგუფები ყოველ წვრილმანს აანალიზებდნენ, ნუსხავდნენ და ერთ-ერთმა ჯგუფმა (ქ. გოგიჩაიშვილის) გვამის აღმოჩენის ადგილიდან კილომეტრ ნახევარში(!) იპოვა „კუნძული", რომელსაც დამწვრობის კვალი ეტყობოდა. ყველაფერი გადამოწმდა. მიმდებარე ტერიტორიაზეც და იპოვეს სხვადასხვა ნივთები (გასაღებები, ღილი, სიგარეტის ნამწვავი, ქალის ყელსაბამი, დამწვარი საბურავების ნარჩენები, ბარი). დადგინდა, რომ დანაშაული მოხდა სოფელ ხელთუბნის ტერიტორიაზე. ამის მერე დაიკითხა უამრავი მოწმე, რამდენიმე დაძაბული დღის მუშაობის შემდეგ გორის შს რაიგანყოფილების მუშაკებმა მიაგნეს დამნაშავეებს.

ვ. თვაური — ცოლშვილიანი, უპარტიო, 8 კლასის განათლებით, დაბადებული ქ. გორში, ტ. მუნჯიშვილის მეგობარი. ამ „მეგობრობით" დაიწყო ყველაფერი. როდესაც მან ინატრა ცოლყოფილის სიკვდილი, მეგობარმა „მეგობრული" ხელი გაუწოდა „მე ვიზამ შენს მაგივრობას" და თან ნატვრის სისრულეში მოსაყვანად 10 000 მანეთიც მოსთხოვა. დიდი გარიგება გამორიგების მერე 6.000 მანეთად შეთანხმდნენ და ვ. თვაურმა დაიწყო „მოქმედება". გაეცნო ლ. ქურდაძეს ვ. ვაშაკიძის სახელით, დაუახლოვდა მას, ცოლად მოყვანასაც შეჰპირდა და... ასე გააბა ქალი სიკვდილის მახეში.

1988 წლის 29 მარტს, საღამოს საათებში ვ. თვაურმა ლ. ქურდაძე ავტომანქანით, მოტყუებით მიიყვანა სოფ. ხელთუბნის ტერიტორიაზე, სადაც მათ დახვდა ტ. მუნჯიშვილი. როცა ლ. ქურდაძე ნებით არ გადმოვიდა მანქანიდან ვ. თვაურმა ის თმებით გადმოათრია. გაოგნებული ქალი მოწყალე თვალებით შეჰყურებდა ქმარყოფილს, ნუთუ არ გებრალებიო, მაგრამ ამ უკანასკნელმა თოფის კონდახი დაარტყა სახის არეში. ლ. ქურდაძე მიწაზე დავარდა. ახლა ვ. თვაურმაც უთავაზა ერთი-ორი მუშტი, უგონო მდგომარეობაში მყოფ ქალს თოკი გამოაბა ყელზე და დაახლოებით 150 მ. მანძილზე ათრია. მდ. მეჯუდას სანაპიროზე კი, სწორედ იმ ზემოთ ხსენებულ „კუნძულზე" წინასწარ იყო მომზადებული ავტომანქანის 3 ცალი საბურავი, ორი სახის საწვავი, როცა ვ. თვაურს გაუჭირდა ქალის მოთრევა სასურველ ადგილზე ტ. მუნჯიშვილს სთხოვა დამეხმარეო. ამ უკანასკნელმაც ჩასჭიდა ხელებში ხელი, ფეხებით თვაური მოექცა და ნახევრად მკვდარი ქურდაძე მოათავსეს საბურავებზე. გადაასხეს საწვავი და... ჰაერში დამწვარი ხორცის სუნი დატრიალდა... ალიონმაც მოაღწია, დრო არ ითმენდა, გვამი კი ნელა განაგრძობდა წვას. სად იყო და სად არა ვ. თვაურმა ბარიც იშოვა და ნახევრად დამწვარი გვამი თავის ნარჩენებიანად მდ. მეჯუდაში გადაუძახა, ბარიც ზედ მიაყოლა და დაარწმუნებულმა, კვალი დავფარეო. შინისაკენ გასწია. „კეთილისმყოფელს" ტ. მუნჯიშვილმა, 4000 მანეთი გადაუხადა, დანარჩენზეც მოილაპარაკეს, მაგრამ ამდენი აღარ დასცალდათ... დამნაშავეები დააკავეს. მართლმსაჯულებამ მათ საკადრისი მიუზღო.

დასასრულს უნდა ითქვას შს განყოფილების თანამშრომელთა მაღალი პროფესიონალიზმის და დიდი შეუპოვრობის შესახებ — დაწყებული ნივთმტკიცებათა შეგროვებით (ტერიტორია კი რომელზედაც მიმოფანტული იყო ისინი რამდენიმე კვადრატულ კილომეტრს შეადგენს), რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს ძიების სწორად წარმართვაში (მაგალითად, ერთი კბილის ნაკლულობით დამწვარი მსხვერპლის ვინაობის დადგენა; გასაღები, რომლითაც მიკვლეულ იქნა მოკლულის საცხოვრებელი ბინა; ღილები, რომლებიც მკვლელის ლაბადიდან აღმოჩნდა მოწყვეტილი დანაშაულის ჩადენის დროს და ა. შ.), დამთავრებული მკვლელის პიროვნების დადგენით, რომელიც სხვა სახელით და გვარით იყო ცნობილი...

მ. მოხიძე.

# მძარცველები შეიპყრეს

ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში ღამით მიღებული იქნა შეტყობინება, რომ უცნობი პირები ყაჩაღურად თავს დაესხნენ სოფელ ნაბახტევში მცხოვრებ ნ. ოქრუაშვილს და ცივი იარაღის გამოყენების მუქარით წაართვეს ოქროს სამკაულები და ფული.

შემთხვევის ადგილზე სასწრაფოდ გავიდნენ: განყოფილების უფროსი გ. ქიმერიძე, განყოფილების უფროსის მოადგილე, მ. კაციტაძე, სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი მ.ჩხეიძე, ოპერრწმუნებული მ. ტაბატაძე, გამომძიებელი ო. გასიშვილი, სახელმწიფო ავტოინსპექციის ადმინისტრაციული პრაქტიკის ინსპექტორი თ. ლომიძე, უბნის უფროსი ინსპექტორი ზ. ფარემუზოვი. დროულად გატარებული ღონისძიებების შედეგად ბოროტმოქმედები დააკავეს. ისინი აღმოჩნდნენ ბორჯომელები, ადრე ნასამართლევები ე. ს. და ტ. ს.

ოპერატიულ მუშაკთა მიერ ამოღებულია ნაძარცვი ნივთები. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება.

თ. ჩადუნელი,
ხაშურის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში მილიციის მაიორი.

## სწრაფად, ოპერატიულად



# ძებნილის დაკავება

ᲨᲣᲐᲦᲐᲛᲔ გადასული იყო, როცა ზუგდიდის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში ტელეფონით დარეკა მამაკაცმა, რომელიც აღელვებული ხმით იტყობინებოდა, რომ ინგირის ქაღალდკომბინატის ტერიტორიაზე ავტომანქანა არღვევდა ღამის მყუდროებას და მოსვენებას არ აძლევდა ხალხს. საქმის გასარკვევად ადგილზე გაიგზავნა საგზაო-საპატრულო სამსახურის ინსპექტორი გ. წულაია და მილიციელი ო. ბულაია, რომელთა ადგილზე მისვლისას მანქანა იმ ტერიტორიაზე არ აღმოჩნდა. მაცხოვრებლებმა მილიციის მუშაკებს უთხრეს, რომ სულ ახლახან მანქანა დიდი სისწრაფით წავიდა აქედანო.

წესრიგის დამცველებს არ დასჭირვებიათ დიდი დრო, რომ ავტომანქანა შეემჩნიათ კახათისაკენ მიმავალ გზაზე. ავტომანქანა ნიშნის მიცემით არ ჩერდებოდა, მაგრამ თანამშრომელთა საზრიანი მოქმედებით გაჩერებული იქნა. საჭეს მართავდა ნასვამი ახალგაზრდა კაცი მერაბ ბარდენიძე, როგორც ადგილზე გაირკვა მანქანა იარაღის მუქარით გატაცებული აღმოჩნდა და თვითონ საჭესთან მჯდომი კი საკავშირო ძებნილი, შრომა-გამოსასწორებელი დაწესებულებიდან გამოქცეული. დაკავების დროს მან იარაღით წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ იგი განაიარაღეს.

გ. მგალობლიშვილი.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: გ. წულაია და ო. ბულაია.

ავტორის ფოტო.

## ПО ЛИНИИ

### БОЛНИСИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ПРОБЛЕМАМ** предотвращения пожаров уделяется в ОВД особое внимание. Количества пожаров и ущерб, нанесенный ими по сравнению с 1989 годом в Болнисском районе снизился. О проделанной работе за истекшие 10 месяцев рассказал в беседе по телефону начальник ОГПН Болнисского РОВД капитан внутренней службы З. Коделашвили.

— В последние два квартала сократился некомплект кадров, мы приняли на работу сванов, которые поселились в нашем районе. Хочу отметить, что новобранцы очень дисциплинированны и исполнительны.

За истекшие десять месяцев нами проведена большая профилактическая работа на объектах народного хозяйства и в сельской местности. За нарушение правил пожарной безопасности за истекший срок нами приостановлены 12 объектов, среди которых: кормосклад на Тамарисской птицефабрике, комиссионный магазин в селе Болниси, картофелехранилище в селе Калагари и др.

С наступлением зимнего отопительного сезона мы совместно с работниками Госэлектронадзора проводим рейды на крупные промышленные объекты, совместно с сотрудниками милиции осуществляем патрулирование, выезжаем на пожары или загорания вместе с ними.

Хорошо работают при тушении пожаров: отделение бойцов, возглавляемое О. Бобохидзе, водитель А. Билялов, бойцы Э. Кукчишвили и А. Мирзоев. Четко и оперативно действует радиотелефонистка М. Лешкашели, которая работает в пожарной охране уже 21 год.

Беседовал А. МАЛАЯНЦ.

# ЭТА «ТИХАЯ», БЕСПОКОЙНАЯ СЛУЖБА

**«ЧИТАЙТЕ**, завидуйте, я — гражданин Советского Союза».

Эти слова Маяковского о советском паспорте являются девизом нашей работы...

Так начал свой рассказ о себе и своих сотрудниках начальник паспортного отделения Глданского РОВД г. Тбилиси капитан милиции Иосиф Васильевич Дарсавелидзе. Нет ни одного советского гражданина, который миновал бы паспортное отделение милиции. Вручение, обмен паспортов, прописка, выписка — это не просто технические операции, это акты советского патриотизма, высокого чувства гражданственности, строгого соблюдения общественного правопорядка. За каждым паспортом — человек, личность.

Особую радость доставляет Иосифу Васильевичу вручение паспортов молодым, достигшим совершеннолетия. Происходит это, как правило, в торжественной обстановке — и в самом РОВД, и в школах, и на предприятиях. Тепло напутствует капитан милиции Дарсавелидзе тех, кто, получая паспорт гражданина Советского Союза, вступает в пору зрелости, в самостоятельную жизнь.

Однако паспортная система существует не только для того, чтобы выдавать и оформлять свидетельство о гражданстве СССР, но и для того, чтобы служить строгому соблюдению советских законов, охране общественного порядка. Эти скромные работники паспортной службы чаще всего первыми приходят на помощь сотрудникам уголовного розыска. И часто именно при их участии раскрываются преступления. Бывали случаи, когда с их помощью задерживали преступников, находившихся во всесоюзном розыске.

Примеры? Жизнь на них не скупится.

... В паспортное отделение Глданского РОВД г. Тбилиси пришел некий Сейран Г., 1949 года рождения, с просьбой прописать его в Глданском массиве.

При внимательном изучении документов и личности Сейрана, паспортистка Мелита Пурцеладзе установила, что он разыскивается Кировабаканским ГОВД Армянской ССР за кражу личного имущества и находится во всесоюзном розыске.

Так благодаря бдительности паспортистки был задержан преступник.

— Сотрудники паспортного отделения, — рассказывает начальник ОУР Глданского РОВД г. Тбилиси майор милиции В. Асатиани, — оказывают нам большую помощь в раскрытии преступлений. По инициативе Иосифа Васильевича сделан альбом, в котором собраны фотографии и данные лиц, освобожденных из мест лишения свободы. Это облегчает нам дело в установлении личности преступников.

**Статистическая справка.** Паспортным отделением в т. г. проверено более 76 учреждений и организаций района, 6 общежитий. Выявлено: 244 непрописанных граждан, 7 тунеядцев, 4 фиктивных брака, установлены злостные неплательщики алиментов, 5 разыскиваемых. Проведено свыше 30 лекций и бесед с населением района.

За хорошие показатели в работе всем сотрудникам паспортного отделения объявлена благодарность, а начальнику отделения капитану милиции Иосифу Дарсавелидзе вручен вымпел «Лучший сотрудник паспортной службы», он награжден ценным подарком. Паспортное отделение Глданского РОВД призвано победителем соцсоревнования по итогам 9 месяцев текущего года.

Большая работа проводится паспортным отделением по упорядочению вопросов прописки и выписки граждан, особенно во вновь заселенных микрорайонах, взятию на учет лиц, прибывших в город на учебу или на временное местожительство, устанавливаются и разыскиваются неплательщики алиментов.

— Так, например, во время проверки паспортного режима, — вступает в разговор старший инспектор майор милиции Д. Цагареишвили, — был задержан в УП микрорайоне 21 корпусе Мамука М., 1963 года рождения, разыскиваемый за квартирную кражу.

А вы говорите «тихая» служба. В жизни паспортного отделения случаи бывают самые разные, и подход к ним тоже должен быть неоднозначный. Но есть одна общая черта — это высокий служебный долг, профессиональное мастерство капитана милиции И. Дарсавелидзе и других сотрудников паспортного отделения, их стремление быть не формалистами в работе, а подлинными знатоками человеческих душ. И если перед ними нечистая душа — пусть не ждет поблажек и снисхождения. А тем, кто оступился в жизни, они всегда протянут руку помощи.

А. АРАМАДЗЕ.

ПО ТУРИСТСКИМ ТРОПАМ

# НА КАТАМАРАНАХ ПО АЛАЗАНИ






**С НЫНЕШНЕГО года в Центральном совете «Динамо» развернута широкая работа по развитию спортивного туризма среди сотрудников внутренних дел и членов их семей.**

**В связи с этим в настоящее время Грузсовет «Динамо» уделяет большое внимание этой работе. Созданы секции по туризму в регионах, расширились контакты с другими республиками, организуются походы разных категорий сложности. В секции могут вступить все желающие и члены их семей, с которыми будут заниматься квалифицированные тренеры.**

**Недавно группой туристов Грузсовета «Динамо», под руководством тренера по туризму М. Тевзадзе был совершен поход второй категории сложности по центральному Кавказу в районе горы Казбек и водный поход на катамаранах по реке Алазани. Эти два мероприятия входили в программу заочного чемпионата ЦС «Динамо», который завершится в конце нынешнего года.**

**А. АРТЕМОВ.**

НА СНИМКАХ: участники туристического похода по реке Алазани; на привале.

Фото Д. АРЧВАДЗЕ.

## საზრიანთა კლუბი

**ჩვენი გაზეთის 28 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ დეტექტიურ ჩანახატზე „სასარგებლო რჩევა“ ხწორი და ლაკონიური („ძაღლები აუშვით, დარაჯები გაუშვით“) პასუხი გამოგვიგზავნა ზესტაფონის შს რაიგანყოფილების სახავტოინსპექციის ქვეგანყოფილების საგზაო-საპატრულო სამსახურის უფროსმა ინსპექტორმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ზ. ლაბაძემ.**

**ადრე გამოქვეყნებულ ჩანახატზე „ლეონსიე დააპატიმრეს“ ზოგიერთი სწორი პასუხი დაგვიანებით გამოგვიგზავნეს, მაგრამ ამჯერად მიზანშეწონილად ვთვლით მათი ავტორების ვინაობის დასახელებას. ესენი არიან: ზუგდიდის შს რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის უბნის უფროსი ინსპექტორი, მილიციის მაიორი ნ. ჯანაშია, გორის შს საქალაქო განყოფილების პასუხისმგებელი მორიგის თანაშემწე უ. კურმაშვილი, თბილისელები მ. გიგანი და ნ. დილმელაშვილი.**

# ხანძარი საწყობში

**ტარის** მასალის საწყობში ხანძარზე გავიდა მორიგე ყარაული „ზილ-130“ მარკის ორი ავტოცისტერნით. ხანძრიდან დაბრუნებისას ყარაულის უფროსმა სახანძრო რაზმის უფროსს წარუდგინა ასეთი სახის წერილობითი პატაკი: — ცეცხლის ალში იყო გახვეული ღია ცის ქვეშ არსებული ხის ტარის მასალები, ძლიერი ქარის მეშვეობით ცეცხლი სწრაფად ვრცელდებოდა. ჩვენს მიერ წყლის წყაროზე დაყენების გარეშე ავტოცისტერნებიდან ხანძრის კერაზე და გავრცელების საწინააღმდეგოდ მიწოდებული იქნა ორი „ა“ ლულა. მეხანძრეები მოქმედებდნენ სწრაფად და საზრიანად, განსაკუთრებული გამბედაობით გამოირჩეოდნენ მელულეები, რომლებიც ოცი წუთის განმავლობაში შეუწყვეტლივ აძლევდნენ წყლის ჭავლს ხანძარზე. ტაქტიკურად სწორი და თავდადებული მუშაობის შედეგად ხანძარი ლიკვიდირებული იქნა მცირე ზარალით. აღნიშნულთან დაკავშირებით გთხოვთ წაახალისოთ ყარაულის პირადი შემადგენლობა.

რაზმის უფროსმა თავისი ბრძანებით მადლობა გამოუცხადა ყარაულის მთელ პირად შემადგენლობას ყარაულის უფროსთან ერთად.

ინსპექტორმა ვარნიკემ, გაეცნო რა აღნიშნულ მასალებს თანამდებობიდან თითო საფეხურით ჩამოაქვეითა როგორც ყარაულის უფროსი, ისე რაზმის უფროსიც, როგორც ტექნიკურად გაუნათლებელნი.

რაში გამოიხატებოდა ყარაულის უფროსისა და რაზმის უფროსის უცოდინარობა?

## ЗАРУБЕЖНЫЙ КАЛЕЙДОСКОП

### КОМПЬЮТЕРНЫЙ МОШЕННИК

**К ДЕСЯТИЛЕТНЕМУ тюремному заключению приговорен Арманд Мур — человек, организовавший «компьютерное ограбление» чикагского «Ферст нэшин банк». Муру и его сообщникам, среди которых были и сотрудники банка, удалось подобрать код к электронной системе банковских операций. Они перевели сумму, превышавшую 69 млн. долларов, из банка в Чикаго в два австрийских банка, расположенных в Вене. После этого мошенники попытались положить деньги уже на свои счета в Америке, но на этой операции были пойманы с поличным. Как заявил окружной судья Гарри Лайненуэбер, он не колебался, вынося организатору «компьютерного ограбления» наиболее суровый приговор за подобное мошенничество.**

## СПОРТ

# Поединки на татами

**В КУТАИСИ** в борцовском зале спортклуба «Торпедо» завершился лично-командный чемпионат МВД Грузинской ССР по самозащите без оружия.

В соревнованиях приняли участие 52 спортсмена из сборных команд МВД Аджарии, Абхазии, УВД гг. Тбилиси и Кутаиси, Тбилисского факультета московской высшей школы милиции МВД СССР, УВДТ МВД ГССР, РОВД городов Гурджаани и Сигнахи.

В общекомандном зачете первое место заняла сборная УВД г. Тбилиси, укомплектованная сотрудниками отдела пожарной охраны, на втором месте слушатели ТФМВШМ МВД СССР, а третье место впервые занял коллектив УИД МВД ГССР. Победителями в весовых категориях стали Т. Гиоргадзе — 57 кг (ОПО УВД г. Тбилиси), К. Эдишерашвили — 62 кг (ГУВДТ), А. Хубашвили — до 74 кг (ТФМВШМ МВД СССР), П. Бузаришвили — 82 кг (УИД), Г. Шетекаури — до 90 кг (ОПО УВД г. Тбилиси), Д. Давиташвили — до 100 кг (ГУВДТ) и И. Джичошвили — свыше 100 кг (ОПО УВД г. Тбилиси). Следует отметить, что география данных соревнований расширяется, — в этом году в чемпионате впервые приняли участие сотрудники РОВД Гурджаани и Сигнахи, которые в командном зачете обогнали сильный коллектив МВД Абхазской АССР.

**А. МАЛАЦИДЗЕ.**

გ. თოფურია

# განსხვავებული ცრემლები

— ოფიციალური მართვის უფლება არა, მარა მანქანის ტარება ქე იცოდა.

— მერე?...

— დიდიკომ რომ მანქანა დაამუხრუჭა მე და ჯუანშერი მაშინათვე დაზარალებულს ვეცით. ვეცადეთ ფეხზე წამოგვეყენებინა, მარა არაფერი გამოგვივიდა. მერე ჯუანშერმა მაჯა გაუსინჯა დაზარალებულს, ყური დაადვა გულზე და ცოტა ხნის მერე თქვა: — დამთავრდა ეს საცოდავიო. ამის შემდეგ კვლავ მანქანაში შევცვივდით. დიდიკომ გადართო მანქანა სიჩქარეში და ადგილიდან მოვწყდით.

— ლაჩრებო... დაზარალებული უსინდისოდ მიატოვეთ და გაქცევით ლამობდით თქვენს ტყავის გადარჩენას არა?

— რასაკვირველია დამნაშავენი ვიყავით, მარა მაშინ ამაზე არავის გვიფიქრია.

— გაქცევის დროს არავის დაუნახიხართ?

—არა, ახლო მახლო კაცის შვილი არ ჩანდა. მხოლოდ ეს იყო ხობის ცენტრში, რომ გადავდიოდით რამოდენიმე ადამიანმა ჩვენს მანქანას თვალი გამოაყოლა. ისინი სინათლეში იდგნენ და ჩვენ დიდი სიჩქარით რომ გავიქროლეთ ჩვენსკენ შემოტრიალდნენ.

— შენ როდის აგიყვანეს პატიმრობაში?

— შემთხვევის მეხუთე დღეს.

— წინასწარი გამოძიების ჩვენებაში შენ ჯუანშერ სართანია არ გიხსენებია და არც ის გითქვამს რომ მანქანა მისი საკუთრება იყო.

— საქმე იმაში გახლავთ უფროსო ბატონო, რომ შემთხვევის მეორე დღეს დიდიკო დიხამინჯია და მისი მამა დავითი მესტუმრნენ ოჯახში. იმ დროს ჩემიანები არავინ იყო სახლში. დუტუ ბაღათურიას ტირილში იყვნენ წასულნი. სახლში, რომ შევედით პირველმა დიდიკოს მამამ დაიწყო საუბარი:

— დიდად სამწუხარო ამბავი შეგემთხვათ, მაგრამ რას იზამთ? ნათქვამია გატეხილს არაფერი ეშველებაო. ახლა საჭიროა ის მოვიფიქროთ, თუ როგორ გამოვიდეთ ამ არასასიამოვნო მდგომარეობიდან.

— მართალია დავით ბატონო.

— შენ და ჩემი დიდიკო, ბავშვობის მეგობრები ხართ, ერთად დაიზარდენით. ახლა ერთი რამ მაქვს მოფიქრებული ჩემო ბადრი და მინდა რომ შენც გაგიზიარო. თუმცა... ძალიან მიჭირს და მეუხერხულება ეს, მარა...

— ბრძანეთ ბატონო.

— ბადრი შვილო, შენ კარგად იცი, რომ დიდიკო ხარკოვში სწავლობს სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსზე. ისიც კარგად იცი, რა ელის დიდიკოს ამ უბედური შემთხვევის მერე, თუ მას დაუმტკიცდა ის, რომ თვად მართავდა მანქანას იმ უბედურ დღეს, რა თქმა უნდა

— როგორ გგონია, ვაჟა ძველაია დაადასტურებს ყოველივე ამას რაც შენ სთქვი? — სწრაფად ჩაეკითხა გამომძიებელი.

— რასაკვირველია დაადასტურებს, ის ძალზე პატიოსანია უფროსო ბატონო.

— მერე რა მოხდა?

— აბაშამდე მშვენივრად ვიარეთ. თანდათან უფრო ბნელდებოდა. ცხაკაიაც მშვიდობიანად გავიარეთ. ის იყო მდინარე ხობისწყლის ხიდს გავცდით, რომ, აი, მაშინ მოხდა სწორედ ის უბედურება. მანქანის ფარების შუქზე ბუნდოვნად დავლანდე საწინააღმდეგო მიმართულებით მომავალი ველოსიპედიანი კაცი. ვიყვირე: — დიდიკო შემხვედრია — თქვა, მარა უკვე გვიანი იყო. როგორც ემჩნეოდა დიდიკოს ჩასთვლიმა და სავალი გზის შემხვედრ ზოლზე მიდიოდა. ჩემს ყვირილზე დიდიკომ მანქანა დაამუხრუჭა.

— მანქანის მართვის უფლება თუ ჰქონდა დიდიკოს?

სასჯელი არ აცდება, მაგრამ მთავარი ეს არ არის მთავარი, მთავარი ისაა, რომ მაშინათვე ინსტიტუტიდან გარიცხავენ და მთელი ამდენი შრომა წყალში აღმოჩნდება ჩაყრილი, გარდა ამისა მეც შემელახება ავტორიტეტი.

— პირდაპირ ბრძანეთ რის თქმა გსურთ თქვა — მივუგე მე.

— შვილო ბადრი, აი ეს საქმე შენ... რომ... აგელო შენს თავზე. ...არა, ეს კი არა... რა თქმა უნდა შენ სასჯელს მოგცემენ, მარა... ხომ იცი ობოლი ბიჭი ხარ, წვრილშვილის პატრონი, პაწია ეკონომიურადაც გაჭირვება გაქვს. ერთი სიტყვით, თუ შენ ასეთ პატივს დაგვდებ ჩემის მხრით გპირდები: არაფერს მოვაკლებ შენს ოჯახს, ორსართულიან კაპიტალურ სახლს აგიშენებ. სასჯელს, რომ მოიხდი და ოჯახს დაუბრუნდები ახლადახალ „გაზ 24“-საც დაგახვედრებ შენს ეზოში. აჩქარებით, ნუ აჩქარდები. კარგად მოიფიქრე ეს საქმე და პასუხი ზეგ მოთხარი. ისე სხვანაირად ნუ ჩამომართმევ, მარა ამდენ ქონებას მთელი შენი სიცოცხლის მანძილზე ვერ შეიძენ. გამომძიებელი, რომელიც ამ საქმეს იძიებს ჩემი მეგობარი კაცია და მცირე ხნით შევაჩერებინე ეს საქმე. ხო, ერთი კიდევ რა, ამ საქმეში ჯუანშერ სართანიას გამოჩენა არ ღირს. ამიტომ ჯობია თქვა, ვითომ დიდიკოს მანქანით იყავით ონტოფოში, ამის დასადასტურებლად შეგიძლია უჩვენო ჩვენებაში, რომ დიდიკოს მანქანის მარცხენა წინა ფრთა შეჭეჭყილია — თქვა. ხომ იცი ჩემი ამბავი, მე ამ საქმეს სხვანაირადაც შემიძლია მოუარო, მარა ეს ვარიანტი უფრო უკეთესად მესახება და ამასთან მინდა, რომ შენც ისარგებლო რამე.

— დავით ბატონო ღმერთის ტოლი კაცი ბრძანდებით და ჩემი ცოლშვილის ცოდვაში არ ჩადგებით ვიცი ეს მე. ისიც კარგად ვიცი, რომ პირობასაც შეასრულებთ, ამიტომ ვფიქრობ ამ საქმის გადადება არ ივარგებს. დაე, ისე იყოს როგორც თქვენ ბრძანეთ.

— რატომ იყავით ასე დარწმუნებული, რომ დავით დიხამინჯია სიმართლეს გეუბნებოდათ?

— იმიტომ ვიყავი ასე დარწმუნებული რომ დავით დიხამინჯიას მთელი დასავლეთ საქართველო იცნობს, როგორც ყოვლის შემძლე კაცს და თავისი სიტყვის პატრონს.

— სად მუშაობს დავით დიხამინჯია?

— აგერ ოცდაათ წელზე მეტია, რაც იგი „კოლხიდმშენის“ ტრესტის მმართველია.

— მერე შეასრულა დავითმა თავისი პირობა?

— არა, თუმცა ერთი ნაწილი თითქმის შეასრულა....

ჩემს ოჯახს ეხმარებოდა ეკონომიურად, აქამდე.

— დიდიკო დიხამინჯია, რომ მოჰკლეს ხარკოვში და დაასაფლავეს, თუ არის თქვენთვის ცნობილი?

— კი ჩემი მეუღლე, რომ იყო ამას წინათ ჩემს სანახავად ციხეში მან მითხრა ეს. ნამეტანი დიდებულად დაუსაფლავებიათ.

სულ ცოტა ორასი ათასი კაცი მაინც იქნებოდა სატირალშიო — ასე თქვა ჩემმა მეუღლემ. ისიც თქვა, რომ მისი თანაკურსელი და განუყრელი მეგობარი გურამ რურუა არ მოუშვეს ოჯახში მეგობრის სატირლადო.

— შენ იცნობდი გურამ რურუას?

— როგორ არ ვიცნობდი. რამდენჯერ მოუყვანია დიდიკოს ჩემსას და მეც რამდენჯერმე წავსულვარ მასთან. გურამი სოფელ გეჯეთიდანაა წარმოშობით, დიდებული შესახედაობის ვაჟკაცია. თუმცა არც ის ცხონებული დიდიკო იყო ნაკლები შესახედაობის. ორივენი გადასარევად იცვამდნენ და მაგენი, რომ ერთად გამოვიდოდნენ ქალაქში ყველა მაგათ უყურებდა უფროსო ბატონო.

●

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი“ № 47-48.

ინდექსი 66689

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები:

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

უე 01008.